ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 327

« 15 » აგვისტო 2017 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის მე-4 მ/რ, კორპ. №11-ის მიმდებარედ არსებული 1306 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.02.010.073) ფიზიკური პირისთვის - ნატალია კუპატაძისთვის (პ/ნ01010002267) პირდაპირი განკარგვის ფორმით, საკუთრებაში გადაცემის საკითხისა და მასთან გასაფორმებელი უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-3 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული დანართის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის" პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის მე-4 მ/რ, კორპ. N11-ის მიმდებარედ არსებული 1306 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.02.010.073) ფიზიკური პირისთვის - ნატალია კუპატაძისთვის (პ/ნ01010002267) პირდაპირი განკარგვის ფორმით, საკუთრებაში გადაცემის საკითხისა და მასთან გასაფორმებელი უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 9 აგვისტოს №29.09.582 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის მე-4 მ/რ, კორპ. N11-ის მიმდებარედ არსებული 1306 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.02.010.073) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 9 აგვისტოს №29.09.582 განკარგულებით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

დანართი

ხელშეკრულება

უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ

ქ. თბილისი ---------- 2017წ.

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 118[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ---- წლის ---------- №---------- განკარგულების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ---- წლის ---- №---- განკარგულების საფუძველზე ჩვენ, ერთის მხრივ ქ, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში „გამყიდველად“ წოდებული; მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შატრავას ქუჩა №7) წარმოდგენილი --------- მიერ - პ/ნ №---------- და მეორეს მხრივ, ნატალია კუპატაძე (შემდგომში „მყიდველად“ წოდებული; მისამართი: ქ. თბილისი,) წარმოდგენილი ---------- მიერ - პ/ნ №---------- სახით, ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდგეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ამ ხელშეკრულებით, გამყიდველი მყიდველს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ------- წლის -- -------- №---------- განკარგულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობით, საკუთრებაში გადასცემს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას (ნასყიდობის საგანი): ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის მე-4 მ/რ, კორპ. N11-ის მიმდებარედ არსებულ 1306 კვ.მ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: №01.14.02.010.073).

1.2 საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად, ხელშეკრულების საგნის მახასიათებლებია: მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.14.02.010.073; განცხადების რეგისტრაცია №882016880953 - მომზადების თარიღი 20/12/2016, 15:06:21; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.14.02.010.073; მესაკუთრე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი.

მუხლი 2. საპრივატიზებო საფასური, მისი გადახდის წესი და საპრივატიზებო პირობები

2.1. ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა 92 220 (ოთხმოცდათორმეტი ათას ორასოცი) ლარი.

2.2. საპრივატიზებო საფასურის სრულად გადახდა უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) თვის ვადაში.

2.3. მყიდველის მიერ 2.1 პუნქტით გათვალისწინებული თანხის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით:

მიმღები: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22

სახაზინო კოდი: 300773390

დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ნაკვეთების გაყიდვიდან.

2.4. ნატალია კუპატაძემ (პ/ნ: 01010002267) უნდა განახორციელოს დაუზუსტებელი მონაცემებით, №72.14.02.080 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლებაზე უარის თქმა №01.72.14.035.556 და №01.72.14.035.555 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეების სასარგებლოდ, შესაბამისი პროპორციით და საჯარო რეესტრის მონაცემებში შესაბამისი ცვლილების ასახვა ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) თვის ვადაში.

მუხლი 3. საკუთრების უფლების გადაცემა

ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონება მყიდველს საკუთრებაში გადაეცემა ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრული პირობების შესრულების შემდგომ, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის გზით და საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაციის შემდეგ.

მუხლი 4. მხარეთა განცხადებები და ვალდებულებები

4.1. სააგენტო აცხადებს, რომ ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული უძრავი ქონება ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას, უფლებრივად უნაკლოა, ქონება არ არის იპოთეკით დატვირთული და დაყადაღებული;

4.2. ხელშეკრულების მხარეები აცხადებენ, რომ ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული უძრავი ქონების ხარისხი შეთანხმებულია მათ შორის.

4.3. ნატალია კუპატაძე (პ/ნ: 01010002267) აცხადებს, რომ მის საკუთრებაში არსებული დაუზუსტებელი მონაცემებით, №72.14.02.080 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება - დაზუსტებული მონაცემებით, №01.72.14.035.556 და №01.72.14.035.555 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების იდენტურია და შესაბამისად იღებს ვალდებულებას, ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 (სამი) თვის ვადაში უარი განაცხადოს დაუზუსტებელი მონაცემებით, №72.14.02.080 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლებაზე, №01.72.14.035.556 და №01.72.14.035.555 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეების სასარგებლოდ, შესაბამისი პროპორციით და უზრუნველყოფს საჯარო რეესტრის მონაცემებში შესაბამისი ცვლილების ასახვას.

4.4. ნატალია კუპატაძე (პ/ნ: 01010002267) აცხადებს, რომ №01.14.02.010.073 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საკუთრებაში მიღებით და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების მიერ ქალაქ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით (საქმე N3ბ/1567-15) დაკისრებული სასამართლო ხარჯების მის სასარგებლოდ ანაზღაურების შემდგომ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 13 ოქტომბრის საბოლოო განჩინებით (საქმე Nბს-565-560(4კ-16) დასრულებულ დავაზე მიღებული გადაწყვეტილებები ჩაითვლება აღსრულებულად და მას არ ექნება რაიმე სახის უფლება ან პრეტენზია დაუზუსტებელი მონაცემებით, №72.14.02.080 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, №01.72.14.035.556 და №01.72.14.035.555 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ან სხვა ნებისმიერი პირის მიმართ.

4.5. სააგენტო ვალდებულია, საპრივატიზებო პირობების შესრულების შემდგომ, დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, გასცეს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა ქონების შემძენისათვის გადაცემულ უძრავ ქონებაზე.

4.6. ქონების შემძენი ვალდებულია უზრუნველყოს შეძენილ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემისთანავე გონივრულ ვადაში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ამ ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის გზით.

4.7. ქონების შემძენი ვალდებულია საკუთრებაში გადაცემული ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

4.8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან დარღვევის შემთხვევაში, ქონების შემძენი სააგენტოსგან იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და ეკისრება მე-5 მუხლით განსაზღვრული პირგასამტეხლო.

4.9. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების განმეორებით შეუსრულებლობა და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა, სააგენტოს მიერ განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად.

4.10. ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული უძრავი ქონება ბრუნდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში. ამასთან, ქონების შემძენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ არ აუნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული ხარჯები.

მუხლი 5. პირგასამტეხლო

5.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში ქონების შემძენს ეკისრება პირგასამტეხლო (საურავი).
5.2. საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლო განისაზღვრება გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არანაკლებ 5 ლარისა. პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება საპრივატიზებო საფასურის შესაბამის პერიოდში გადასახდელი ნაწილის სრულ გადახდამდე.
5.3. პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით:
მიმღები სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22
სახაზინო კოდი: 300773287
(შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან).
5.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობა და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა სააგენტოს მიერ განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად.

მუხლი 6. მხარეთა შორის ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება

მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. სხვა პირობები

7.1 ამ ხელშეკრულების ყველა გვერდი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა მიერ.
7.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.
7.3. ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამ) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურს (მარეგისტრირებელ ორგანოს), თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.
7.4. ხელშეკრულებით გადაცემულ უძრავ ქონებაზე ქონების შემძენის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით, სავალდებულოა სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, ხელშეკრულების გარდა ასევე წარედგინოს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.
7.5. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება შეიძლება მხარეთა შეთანხმებით.
7.6. მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოს.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტო

ნატალია კუპატაძე (პ/ნ: 01010002267)